

საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებით (ახალი დაკრედიტების პოლიტიკით) გამოწვეული შედეგები მოკლე და გრძელვადიან პერიოდში

ვასიკო ვარსემაშვილი

ვახტანგი ბეროშვილი

ჯგუფი #29

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროექტის ხელმძღვანელი:

დავით გამყრელიძე, ასისტენტ-პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

## განაცხადი

„როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ვასიკო ვარსემაშვილი

ვახტანგი ბეროშვილი

25. 06. 2019

## აბსტრაქტი

აღნიშნული ნაშრომი მიმოიხილავს საქართველოში არსებულ მდგომარეობას, გამოწვევებსა და გარდამტეხ ცვლილებებს საცალო დაკრედიტების კუთხით. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ისახავდა მიზნად დაკრედიტების გაჯანსაღებას. დაკრედიტების გაჯანსაღება კი, თავისმხრივ, საფინანსო ინსტიტუტებისა და ქვეყნის სტაბილურობას. ჩვენ განვიხილეთ რეგულაციების შედეგები მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში საქართველოს ეკონომიკისათვის. ანალიზის პროცესში, ინტერვიუს მეშვეობით, ჩავრთეთ საჯარო მოხელეები, ეკონომისტები, ბიზნესის წარმომადგენლები, კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების თანამშრომლები, რომლებმაც ღირებული, საინტერესო ინფორმაციები მოგვაწოდეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ასევე ჩატარდა რაოდენობრივი გამოკითხვა მოსახლეობაში, თუ რამდენად ეთანხმებიან ამ ცვლილებებს, ან ზოგადად რაში ხედავენ საკრედიტო პოლიტიკის ხარვეზიანობას. ამ კვლევების საფუძველზე შედგა ანალიზის პროცესი და დადგინდა, რომ საქართველოს მოსახლეობა არ იყო მზად ასეთი ხისტი რეგულაციებისათვის. არ იყო სათანადოდ შეფასებული ყველა რისკი, რაც შეიძლება გამოეწვია ამ რეგულაციების ამოქმედებას. მიუხედავად იმისა, რომ დადებითად აისახება საშუალო და გრძელვადიან პერიოდში საკრედიტო პორტფელების ხარისხზე, მეორე მხრივ, თავი იჩინა და მეტად გააქტიურდა მევახშეობის პრობლემა, რომელმაც შესაძლებელია უარეს შედეგამდე მიგვიყვანოს. საქართველოში სესხებზე მოთხოვნა არ შემცირდა.

## **Abstract**

This work overviews the situation in Georgia, challenges and turning changes in retail lending. The National Bank of Georgia has implemented a number of legislative amendments, which was aimed at lending recovery. Recovery of lending will improve financial institutions and stability of country. We have reviewed the results of the regulations in the short, medium and long term period for Georgian economy. Through the interview, in the analysis process we have included public servants, economists, business representatives, employees of commercial banks and microfinance organizations, who provided valuable and interesting information about this issue. We have also conducted a quantitative research of population, we wanted to realize how much they agree with these changes and what are the advantages or disadvantages of lending regulations. Based on these studies, was established the process of analyses and revealed that the Georgian population was not ready for such rigid regulations, all the risks that can be triggered by enactment of these regulations were, not properly assessed. Despite the fact that the mentioned reform positively affects the quality of credit portfolios, but on the other hand, appeared and became more actually usurious. Accordingly, it is clear that the demand for loans in Georgia has not decreased.